



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება

GEORGIA

CHAIRMAN OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

ORDER



ბრძანება:ბ135. 135240884

თარიღი:28/03/2024

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შორენა ცინდელიანის მივლინების შესახებ**

**„საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის, 66-ე მუხლის და პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N 221-ე დადგენილების საფუძველზე,**

**გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:**

1. მივლინებულ იქნას, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შორენა ცინდელიანი ა/წ 29 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით ქ.თბილისში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ 2022-23 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსასმენის და მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული საბჭოების 2024-25 წლების სამუშაო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო სახელმძღვანელო პოლიტიკის განხილვაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

2. წინასწარ იქნას ანაზღაურებული, მესტია-ნატახტარი-მესტია თვითმფრინავის ბილეთის ღირებულება 180 ლარის ოდენობით.

3. დაევალოს მერიის საფინანსო სამსახურს დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მითითებული თანხის ანაზღაურება .

4. ბრძანება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ( მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N-12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

